მწვანე ალტერნატივა
გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

ჰიდროენერგეტიკული პროექტები ევროპარლამენტისა და ევროკომისიის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა

24 დეკემბერი, 2014

2014 წლის 18 დეკემბერს ევროპარლამენტმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. ამავე დღეს ევროპარლამენტმა საქართველოს შესახებ **რეზოლუციაც*** მიიღო, სადაც ყურადღება გამახვილებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე; მათ შორისაა, ენერგეტიკა და გარემოს დაცვა.

მწვანე ალტერნატივა მიესალმება და იზიარებს ევროპარლამენტის მოთხოვნას, რომელიც „მოუწოდებს ევროკომისიას, დაეხმაროს და საფუძვლიანი მონიტორინგი გაუწიოს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციისთვის გამიზნული საინვესტიციო პროგრამების განხორციელებისას; მოუწოდოს ხელისუფლების ორგანოებს, სრულად შეასრულონ ევროკავშირის სტანდარტები და ნორმები, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება დიდი ჰიდროელექტროსადგურების გარემოზე ზემოქმედების შესაფასებას“ (46-ე პუნქტი).

აღსანიშნავია, ასევე, რომ ევროპის პარლამენტი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს განსაკუთრებულ როლზე სამხრეთის დერეფნის განვითარებასა და ნავთობისა და გაზის სატრანზიტო მილსადენებზე, რომლებსაც შესაძლოა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდეთ ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის. მისასალმებელია ასევე, რომ პარლამენტი მოითხოვს „საქართველოში ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობისას, სრულფასოვნად შესრულდეს ევროკავშირის გარემოსდაცვითი სტანდარტები“ და ხაზს უსვამს განახლებადი ენერგიების განვითარების და ასევე, ევროკავშირის მიზნების შესაბამისი კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას (რეზოლუციის 45-ე პუნქტი).

მწვანე ალტერნატივა მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, ბიზნეს-სექტორსა და საზოგადოებას, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი და გადადგან ქმედითი ნაბიჯები ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

---

* European Parliament non-legislative resolution of 18 December 2014 on the draft Council decision on the conclusion, on behalf of the European Union, of the Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part (09827/2014 – C8-0129/2014 – 2014/0086(NLE) – 2014/2816(INI)) ხელმისაწვდომია: http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P8-TA-2014-0110+0+DOC+XML+V0//EN&language=EN

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org